№: 01/07
07/03./2019

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „რეციკლინგი"-ს დაგეგმილი აქვს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი №24ა-ში მდებარე 11 597.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შპს „ჯამი"-ს (ს/კ 208194862) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.19.34.002/028. და ამავე მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ მოსკოვის გამზირი №24ა-ში მდებარე 8 460.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შპს „კაიზენი"-ს (ს/კ 206059815) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.19.34.002/034

საწარმოში დაგეგმილია არასახიფათო ნარჩენების (საბურავების, კაბელების, საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობების (ტელევიზორი, კომპიუტერი), ალუმინ-პოლიმერის მოსაპირკეთებელი ფილების ჩამონაჭრები, ალუმინის ქილების, ხის) და სახიფათო ნარჩენების (ნამუშევარი ზეთებისა და ზეთის ფილტრების) გადამუშავება და ხის ნახშირის წარმოება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის მე-16 პუნქტის თანახმად „სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, შესაბამისად ამ კოდექსის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს. ამასთანავე, ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლის შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად

დანართი: 1. „რეციკლინგი"-ს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში და დოკუმენტის ელ. ვერსია;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

ჰაქან იავუზ

შპს „რეციკლინგი"-ს დირექტორი

"RECYCLING" LTD
406060042

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 3556
07 03 2019
1 ფ.